

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6 8 5

ქ. ბათუმი, 13 ივლისი 2017 წ

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91-ში მდებარე 90,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მერაბ მექვაბიშვილისათვის აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლის 10 ნოემბერს წარმოდგენილი N3698/01 განცხადებით და შემდგომ დამატებით წარმოდგენილი 2017 წლის 22 ივნისის N19376/25 და 2017 წლის 30 ივნისის N20189/25 განცხადებებით მერაბ მექვაბიშვილის მინდობილი პირი ხათუნა მექვაბიშვილი ითხოვს მერაბ მექვაბიშვილის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე №05.23.12.006.01.506 უძრავი ქონების (ფართი: 496,88 კვ.მ. და ანტრესოლი: 261,74 კვ.მ.) მომიჯნავედ არსებული 90,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის აშენების მიზნით. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მოწყობის ესკიზური პროექტი ითვალისწინებს მერაბ მექვაბიშვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან ფუნქციურად დაკავშირებული (გაერთიანებული) შენობა-ნაგებობის მშენებლობას (არსებული ობიექტის გაფართოვებას).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს მერაბ მექვაბიშვილის (მინდობილი პირი ხათუნა მექვაბიშვილი) განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ ობიექტთან ფუნქციურად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 19 წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე 90,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.23.12.036).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო,

გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის, პრივატიზაციის გეგმის და სარგებლობის უფლებით განსაკარგი ობიექტების სარგებლობის საფასურის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №36 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში 2017 წლის 24 მარტის №8 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე 90,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.23.12.036) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემაზე, ხოლო ობიექტის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა 2700,00 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მერაბ მექვაბიშვილს (დაბ.17/04/1972, P/N: 75 2495738) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე 90,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ((უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.23.12.036) (მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი - 23, კვარტლის ნომერი - 12, ნაკვეთის ნომერი - 036, ფართობი - 90,0 კვ.მ, უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი);

2. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 19 (ცხრამეტი) წლით.

3. მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 2700,00 (ორი ათას შვიდასი) ლარით.

4. ძირითად სახელშეკრულებო პირობად განისაზღვროს:

4.1. მერაბ მექვაბიშვილმა (შემდგომ ტექსტში წოდებული როგორც „აღნაგობის უფლების მქონე“) ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში უზრუნველყოს სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.23.12.036) მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ ობიექტთან (ს/კ 05.23.12.006.01.506) ფუნქციურად დაკავშირებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურთან შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობა.

4.2 აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთისათვის სარგებლობის საფასურის გადახდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით: თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე სახელშეკრულებო წლის შესაბამისად;

4.2.1. პირველი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო წლის შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო, ხოლო ყოველი შემდეგი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო;

4.2.3. სარგებლობის საფასურის გადახდა აღნაგობის უფლების მქონეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

4.2.4. მიწის ნაკვეთის სარგებლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, აღნაგობის უფლების მქონე სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასურს, რომელ სახელშეკრულებო წელსაც მოხდა აღნაგობის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

5. სხვა სახელშეკრულებო პირობებად განისაზღვროს:

5.1. აღნაგობის უფლების მქონე ვალდებულია საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით თავად უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისათვის დაწესებული ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება;

5.2. აღნაგობის უფლება არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება;

5.3. აღნაგობის უფლების მქონემ საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ობიექტების ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება;

5.4. აღნაგობის უფლების მქონე ვალდებულია გადაიხადოს აღნაგობის უფლების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების სათანადო წესით დადასტურების, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

6. აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ წინამდებარე ბრძანებით/სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით.

7. აღნაგობის უფლების მქონეს მიეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

7.1. მიწის ნაკვეთის მისამართი: ქ. ბათუმი, გორგილამის ქ. N91; ფართობი: 90,0 კვ.მ. მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი - 23, კვარტლის ნომერი - 12, ნაკვეთის ნომერი - 036, უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

7.2. მიწის ნაკვეთის მდგომარეობა: უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

8. აღნაგობის უფლების მქონეს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლება წარმოემოხა აღნიშნულის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

9. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს ამ ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

10. თუ კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, წინამდებარე ბრძანების შედეგები უქმდება.

11. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს მერაბ მექვაბიშვილს.

12. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი